

ჰაერის ხარისხის მართვა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში

დაწყების თარიღი : 01-01-2011

დასრულების თარიღი: 31-12-2014

პროექტის აღწერა:

პროექტის ზოგადი მიზანია ბუნებრივი რესურსების გაუმჯობესებული და ამდგრადი მართვა, რაც მოიცავს ბუნების დაცვას, კლიმატის ცვლილების ეფექტის შემცირებას, გარემოსდაცვითი თანამშრომლობის გაძლიერებას და ცნობიერების ამაღლებას.

პროექტის კონკრეტული მიზნებია:

- ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებასა და დაბინძურების ინტეგრირებულ პრევენციასა და კონტროლთან (IPPC) დაკავშირებული ევროპის კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;
- მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების მოთხოვნების შესრულების გაუმჯობესება (განსაკუთრებით, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის “შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების” კონვენციისა და შესაბამისი ოქმების);
- გადაწყვეტილების მიმღებთა, სამრეწველო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობით ეროვნულ, რეგიონულ და სუბ-რეგიონულ დონეზე, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.

პროექტის შედეგები :

- პარტნიორი ქვეყნები უკეთ აღასრულებენ ჰაერის ხარისხისა და დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის სფეროში არსებულ კანონმდებლობასა და რეგულაციებს;
- პარტნიორი ქვეყნები მიუახლოვდებიან საერთაშორისო სტანდარტებს და ეტაპობრივად გადავლენ ჰაერის ხარისხის მოთხოვნების შესაბამისი ევროპული პოლიტიკის პრინციპებზე, მიდგომებსა და კანონმდებლობაზე;
- სამოქალაქო საზოგადოების (არასამთავრობო ორგანიზაციების) და კერძო სექტორის ჩართულობით ეროვნულ, რეგიონულ და სუბ-რეგიონულ დონეებზე თანამშრომლობის შედეგად უკეთესი გარემოსდაცვითი ცნობიერების უზრუნველყოფა.

მიზნობრივი ტერიტორია : საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, რუსეთი და უკრაინა

სფერო : ატმოსფერული ჰაერის დაცვა

ღონისძიებები :

ევროკომისია (EC)

<http://ec.europa.eu/>

ბანმანორციელელები

ორგანიზაცია: ორგანიზაციების კონსორციუმი MWH (მთავარი პარტნიორი), CENN, FORCE, GOPA, MAMA-86, NERI-AU

ტელეფონი: 00380 44 253 2343; **ელ-ფოსტა:** lubomyr.markevych@airgovernance.org

ვებ-გვერდი: www.airgovernance.com

ორგანიზაცია: კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)

ტელეფონი: + 995 322 75 10 03 / 04

მისამართი: ბეთლემის ქუჩა 27, თბილისი 0105 საქართველო

ვებ-გვერდი: http://www.cenn.org

საკონტაქტო პირი: ნინო შავგულიძე; ეროვნული კოორდინატორი

მობ: + 995 577 74 22 19; **ელ-ფოსტა:** nino.shavgulidze@cenn.org

მაილსტონები

მაილსტონი: საქართველოში ევროსტანდარტების შესაბამისი ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის დანერგვის შესაძლებლობის შესწავლა და შესაბამისი სახელმძღვანელო წინადადებების შემუშავება

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: ეროვნული შესაძლებლობების შეფასება და გაძლიერება „შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) ოქმებთან მიერთებისა და შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისათვის

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: ჰაერის დაბინძურების შეფასების სისტემის დანერგვა და განვითარება პარტნიორ ქვეყნებში სხვადასხვა ტიპის ქალაქგეგმარების და სატრანსპორტო სქემების განხორციელებისას მოსალოდნელი შედეგების დადგენის მიზნით

სტატუსი: დასრულებული

მაილსტონი: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის და საერთაშორისო მოთხოვნების შესრულების სამოქმედო გეგმის შემუშავება

სტატუსი: დასრულებული

ბიუჯეტი

სრული ბიუჯეტი: 6935000 EUR

სრული გრანტი საქართველოსთვის: 6935000 EUR